

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სტატისტიკა

2017-2021 წლები



Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, Luminate-ის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ანალიზში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.

შინაარსი

შესავალი	4
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	6
საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმების ანალიზი	8
ადმინისტრაციული ჯარიმები ცალკეული სამართალდარღვევების მიხედვით მიხედვით	11
საკანონმდებლო ცვლილებები	12
მუხლი 116 - სატრანსპორტო საშუალების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა	15
მუხლი 118 - ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია ტექინსპექტირება	16
მუხლი 125 ნაწილი 8 -„დგომა-გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა	17
მუხლი 118[1] - უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა	19
მუხლი 118[2] - სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მობილურით სარგებლობა	20
მუხლი 125 პირველი ნაწილი - სიჩქარის გადაჭარბება	21
დასკვნა	22

ძირითადი მიგნებები

- 2020-2021 წლებში, 2019 წელთან შედარებით **თითქმის განახევრდა** იმ პირთა რაოდენობა ვისაც დააკლდათ ან გაუნულდათ ქულები მართვის მოწმობაზე.
- 2020 წელს თვალსაჩინოა ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაშავებულთა რაოდენობის შემცირება, 7,921-დან 6,640-მდე, რისი ერთ-ერთ განმაპირობებელი ფაქტორი შესაძლებელია იყოს კოვიდის დროს გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგად გადაადგილების შემცირებული ინტენსივობა.
- 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით უშუალოდ **საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის** გამო გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობამ 12.7 მილიონი შეადგინა.
- 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით 7.1 მილიონი ერთეული **ვიდეოჯარიმა გამოიწერა**, ხოლო მათ შედეგად დარიცხული თანხა დაახლოებით 302 მილიონ ლარს აღწევს.
- 2020 წელს ჯარიმების საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც პანდემიასთან და მის სამართავად დაწესებულ შეზღუდვებთან, ასევე **წინასაარჩევნო პერიოდში კონტროლის შემსუბუქებასთან**.
- საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი სამართალდარღვევა **საგზაო მოძრაობის წესების** დარღვევის მიზეზით თბილისში დაფიქსირდა, ჯამში 6.4 მილიონი დარღვევა.
- საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი ოდენობის (4.2 მილიონი) **ვიდეოჯარიმა თბილისში** დაფიქსირდა, რომელმაც ჯამში 160 მილიონი ლარი შეადგინა.
- გამოწერილ საჯარიმო ქვითრებს შორის ვიდეო **ჯარიმების წილი ყოველწლიურად იზრდება**. 2017 წელს, ვიდეო-ჯარიმები მთლიანი რაოდენობის 18.4%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს 75%-ს აღწევდა.
- ჯარიმების საერთო რაოდენობის კლების ტენდენციასთან **თანხვედრაში არ არის** 125 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოწერილი ჯარიმების რაოდენობა, რომლის დაფიქსირება მეტწილად ხდება ავტომატურად, ვიდეოკამერების მეშვეობით.

შესავალი

საქართველოში ხშირია საგზაო მოძრაობის უხეში დარღვევები. კერძოდ, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) თანახმად, საქართველო ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებლით მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად გზებზე სულ უფრო მეტი საგზაო–სატრანსპორტო შემთხვევა ფიქსირდება. შესაბამისად, საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მწვავე აუცილებლობა დგას. დაფიქსირებული საგზაო შემთხვევების რაოდენობის ზრდა სიკვდილიანობის და დაშავებულთა რაოდენობის კლების პარალელურად შესაძლოა დაკავშირებული იყოს სადაზღვევო კულტურის და პოლიციაზე მიმართვიანობის ზრდასთან.



დაშავებულთა და გარდაცვლილთა სტატისტიკაზე დაკვირვებით, თვალსაჩინოა 2020 წელს დაშავებულთა რაოდენობის შემცირება 7,921-დან 6,640-მდე, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი შესაძლებელია იყოს კოვიდის დროს გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგად გადაადგილების შემცირებული ინტენსივობა.



დამატებით, 2018 წელს დაინერგა მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა, რომლის ფარგლებშიც მართვის მოწმობას ყოველი წლის 1 იანვარს 100 ქულა ენიჭება და წლის განმავლობაში სამართალდარღვევებზე შესაბამისი ქულები აკლდება. ქულების განულების შემთხვევაში, მძღოლს მართვის უფლება უწყდება 12 თვის ვადით ან გამოცდის ხელახლა ჩაბარებამდე. ქულათა გამოკლების სისტემა მხოლოდ პატრულის მიერ პირისპირ დაჯარიმების შემთხვევაში მოქმედებს და არ ვრცელდება ვიდეოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. სტატისტიკაზე პირველადი დაკვირვებით თვალსაჩინოა 2019 წელს იმ პირების მნიშვნელოვნად მაღალი რაოდენობა, ვისაც დააკლდათ ან გაუნულდათ ქულები მართვის მოწმობაზე, ხოლო 2020 და 2021 წლებში თითქმის განახევრებული რაოდენობა ფიქსირდება.





საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლზე მთავარი პასუხისმგებელი ორგანო საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროა. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამინისტროს მიერ ეფექტიანი პოლიტიკის წარმოებას, როგორც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესების დადგენაში, ასევე მისი აღსრულების კონტროლსა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში. ასევე საინტერესოა იდენტიფიცირდეს შესაძლო კავშირები და ტენდენციები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკასა და ისეთ მასშტაბურ მოვლენებს შორის, როგორიცაა საკანონმდებლო ცვლილებები, წინასაარჩევნო პერიოდი, პანდემია და ა.შ.

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციას, რომელიც აერთიანებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკას, კერძოდ, საქართველოს მასშტაბით ვიდეოჯარიმების რაოდენობასა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო გამოვლენილ სამართალდარღვევებს 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით.[1]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფომ 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით უშუალოდ **საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის** გამო გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობამ - 12.7 მილიონი შეადგინა, **ვიდეოჯარიმების** რაოდენობა ჯამში იყო - 7.1 მილიონი, ხოლო დარიცხული ჯარიმები - 302.7 მილიონი ლარი.

2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით საქართველოს რეგიონების მიხედვით, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

რეგიონი	**საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა**
თბილისი	6,376,461.00
იმერეთი	1,102,978.00

[1] 2021 წლის მეოთხე კვარტლის შემთხვევაში მოცემული წინასწარი მონაცემები - შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: https://info.police.ge/page?id=179

ქვემო ქართლი	1,114,061.00
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1,026,867.00
შიდა ქართლი	905,130.00
გურია	529,369.00
სამეგრელო-ზემო სვანეთი	499,382.00
კახეთი	462,290.00
მცხეთა-მთიანეთი	411,019.00
სამცხე-ჯავახეთი	252,963.00

2017 წლიდან 2021 ჩათვლით საქართველოს რეგიონების მიხედვით, ვიდეო ჯარიმების რაოდენობა და დარიცხული თანხა შემდეგნაირად ნაწილდება:

რეგიონი	**ვიდეო ჯარიმების რაოდენობა**	**დარიცხული თანხა**
აჭარა	509,280.00	₾ 19,833,590.00
გურია	297,387.00	₾ 16,224,370.00
თბილისი	4,231,753.00	₾ 159,837,620.00
იმერეთი	482,619.00	₾ 21,474,420.00
კახეთი	133,514.00	₾ 5,717,080.00
მცხეთა-მთიანეთი	180,441.00	₾ 10,054,920.00
რაჭა-ლეჩხუმი	6,257.00	₾ 362,440.00

სამეგრელო-ზემო სვანეთი	169,389.00	₾ 9,353,030.00
სამცხე-ჯავახეთი	81,926.00	₾ 4,229,900.00
ქვემო ქართლი	437,744.00	₾ 22,556,410.00
შიდა ქართლი	602,630.00	₾ 33,088,810.00

საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი სამართალდარღვევა **საგზაო მოძრაობის წესების** დარღვევის მიზეზით **თბილისში** დაფიქსირდა, ჯამში 6.4 მილიონი დარღვევა. ასევე თბილისში ვლინდება ყველაზე მეტი ოდენობის - 4.2 მილიონი **ვიდეოჯარიმა,** ჯამში 160 მილიონი ლარის დარიცხული თანხა.

საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმების ანალიზი

IDFI-ის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდიდან გაანალიზებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2017-2021 წლებში საპატრულო პოლიციამ ჯამში 12.7 მილიონი ჯარიმა გამოწერა.

2020 წლამდე საპატრულო პოლიციის მიერ მძღოლების დაჯარიმების შემთხვევების მზარდი ტენდენცია ფიქსირდებოდა, **2020 წელს კი ჯარიმების საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა** რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც პანდემიასთან და მის სამართავად დაწესებულ შეზღუდვებთან, ასევე შესაძლოა წინასაარჩევნო პერიოდში კონტროლის შემსუბუქებასთან. კერძოდ, 2017 წელს საპატრულო პოლიციამ საქართველოს მასშტაბით სულ გამოწერა 1,183,462 საჯარიმო ქვითარი, მაშინ როდესაც 2018 წელს გამოწერილი იყო 2,335,799 საჯარიმო ქვითარი, 2019 წელს - 3,479,088, 2020 წელს - 2,535,412, ხოლო 2021 წელს 3,146,759.

აღსანიშნავია, რომ 2017-2021 წლებში საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილ საჯარიმო ქვითრებს შორის **ვიდეო ჯარიმების წილი ყოველწლიურად იზრდება.** 2017 წელს, 217,940 ვიდეო-ჯარიმა გამოიწერა (მთლიანი რაოდენობის 18.4%), 2021 წელს კი ეს რაოდენობა უკვე 2,349,422-ს აღწევდა (მთლიანი რაოდენობის 75%).



2017-2021 წლების განმავლობაში ვიდეოკამერების მეშვეობით 7.1 მილიონი ჯარიმა გამოიწერა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2020 წელს გამოწერილი საჯარიმო ქვითრების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით დაახლოებით 1 მილიონით შემცირდა. ამასთან ვიდეო-ჯარიმების რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა, რაც დამატებით ეჭვებს აჩენს თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მასშტაბით განთავსებული ვიდეოკამერების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (შსს-ის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წელს დამატებით განთავსდა 343 ვიდეოკამერა და წერტილოვანი რადარი[2]). ასევე აღსანიშნავია ახალი ტიპის ჯარიმების შემოღება, მაგალითად 2019 წლის ივნისში, დაემატა ორი ახალი ტიპის ჯარიმა: სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) და ველოსიპედის ბილიკზე სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა (ჯარიმა 100 ლარი და 50 ლარი შესაბამისად[3]). ასევე 2019 წელს დაინერგა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ახალი სალიცენზიო სისტემა, რომლის შესაბამისი ნებართვის არ ქონა იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.[4] 2019 წელთან შედარებით, საერთო ჯარიმების რაოდენობა ასევე შემცირებულია 2021 წელს. აღნიშნული გარემოება ნაწილობრივ აიხსნება კოვიდ-19 პანდემიის სამართავად დაწესებული გადაადგილების შეზღუდვებით, თუმცა ასევე შესაძლოა გამოწვეული იყოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების და 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების პერიოდში საპატრულო კონტროლის შემსუბუქებით.

[2] https://info.police.ge/page?id=305
[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4553180?publication=0
[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4892801?publication=0



როგორც გრაფიკ 2-ზეა წარმოდგენილი 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ჯამში 302 მილიონი ლარის ვიდეო-ჯარიმა გამოიწერა საქართველოს მასშტაბით. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2017 წელს საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ვიდეო ჯარიმების შესაბამისად, მძღოლებზე დაკისრებული საჯარიმო თანხის საერთო ოდენობამ შეადგინა 8,048,040 ლარი. **ვიდეოკამერების ქსელის გაფართოებასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება ვიდეო-ჯარიმებით დაკისრებული საჯარიმო თანხის საერთო ოდენობაც.** უფრო დეტალურად 2018 წელს ჯამში 42,900,510 ლარის ვიდეო-ჯარიმა გამოიწერა, 2019 წელს ეს რიცხვი გაიზარდა დაახლოებით 30 მილიონი ლარით და შეადგინა 74,910,080 ლარი, 2020 წელს - 73,522,870 ლარი, ხოლო 2021 წელს - 103,351,090 ლარი.

წლების მიხედვით დაჯარიმებულ პირთა და მათთვის დაკისრებული საჯარიმო თანხების საერთო ოდენობის არაპროპორციულობას, ერთი მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა სამართალდარღვევისთვის განსხვავებული სანქციის არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა საანგარიშო წელს კონკრეტული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციების ცვლილებები. შესაბამისად, 2017-2021 წლებში, საპატრულო პოლიციის საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული საჯარიმო პოლიტიკის ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმების ტენდენციები, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მიხედვით.

ადმინისტრაციული ჯარიმები ცალკეული სამართალდარღვევების მიხედვით

2021 წელს დაფიქსირებული ადმინისტრაციული ჯარიმების 95 პროცენტი 11 სამართალდარღვევის საფუძველზე გამოიწერა:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	ჯარიმების რაოდენობა
სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ	886,963
ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება	524,524
ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნების დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა	552,773
სატრანსპორტო საშუალებით საგზაო მოძრაობის შეფერხება ან მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საშიშროების შექმნა	486,340
ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა	114,856
მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა	114,500
მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა	97,639
შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა	80,584
სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა	61,540

გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა	31,904
სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში[5]	26,388

ადმინისტრაციული ჯარიმების ყველაზე დიდ წილს შეადგენს დადგენილი სიჩქარის გადაჭარბებისთვის გამოწერილი ჯარიმები (მთლიანი რაოდენობის 28%), რაც 50 ლარიან სახდელს გულისხმობს. დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ჯარიმები დაფიქსირდა ტექინსპექტირების გაუვლელობის, ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნების დაუცველობისა, და ავტოსატრანსპორტო საშუალებით საგზაო მოძრაობის შეფერხების საფუძველზე. თითოეული დარღვევის შემთხვევაში 500,000-მდე ჯარიმა, რაც მთლიანი რაოდენობის 16% პროცენტს შეესაბამება.

საკანონმდებლო ცვლილებები

გამოწერილი ჯარიმების რაოდენობების და დარიცხული სახდელის ჯამურ რაოდენობებს წლების მიხედვით სხვაობის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორი შესაძლოა იყოს საკანონმდებლო ცვლილებებიც.

საკანონმდებლო ნორმა	**ცვლილება**
მუხლი 116 - სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში	2017 წელს 116-ე მუხლს დაემატა 2 ნაწილი რომლებიც ფარავს მოპედის მართვას ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში და შესაბამისად ითვალისწინებს 150 და 300 ლარიან ჯარიმებს
	2018 წლის ცვლილებებით, ამოღებულია მუხლის 5-ე ნაწილი, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის შემთხვევაში მართვის უფლების 3 წლით შეჩერებას ითვალისწინებდა
	2021 წლის 7 ნოემბრის რედაქციით, გამკაცრდა 116-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები

[5] რაოდენობა მოიცავს 116-ე მუხლის ყველა ნაწილის და ქვეპუნქტის საფუძველზე დაფიქსირებულ ჯარიმებს.

	სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში იმ პირის მიერ რომელსაც ამ მუხლის საფუძველზე შეჩერებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. გარემოებების მიხედვით, ჯარიმა გაიზარდა საშუალოდ 1000-იდან 1500 ლარამდე თანხით და დამატებით აღმკვეთ მექანიზმად ცალკეულ შემთხვევებში დაემატა 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა
მუხლი 118 - ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება ან სხვა პირისათვის ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა	2018 წლიდან აღნიშნული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სახდელი გაიზარდა 10 ლარიდან 50 ლარამდე ფიზიკური პირებისთვის, ხოლო 100-დან 200 ლარამდე იურიდიული პირებისთვის
მუხლი 118¹ - ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა	საკვლევ პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა
მუხლი 118² - მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა	2017 წლიდან, 118²-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა 10 ლარიდან 30 ლარამდე გაიზარდა
125-ე მუხლის პირველი ნაწილი - სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ	2017 წლამდე, 125-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ერთგვაროვანი ჯარიმა (50 ლარი) ნებისმიერი სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში რაც აღემატებოდა 15 კმ/სთ-ს. 2017 წელს 125-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი: "სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით."

125-ე მუხლის მე-6 ნაწილი - სატრანსპორტო საშუალებით საგზაო მოძრაობის შეფერხება ან მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საშიშროების შექმნა	საკვლევ პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა
125-ე მუხლის 6[2] ნაწილი - გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა	საკვლევ პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა
125-ე მუხლის მე-7 ნაწილი - მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა	საკვლევ პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა
125-ე მუხლის 7[1] ნაწილი - შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა	საკვლევ პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა
125-ე მუხლის მე-8 ნაწილი - ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნების დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა	საკვლევ პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა
125-ე მუხლის მე-12 ნაწილი - სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა	აღნიშნული ნაწილი 125-ე მუხლს დაემატა 2019 წელს

საკვლევ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან ყოველწლიურად გამოწერილი ჯარიმების რაოდენობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2019 წელს 125-ე მუხლში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლის შედეგადაც ადმინისტრაციულ კოდექსს დაემატა 2

ახალი ტიპის სამართალდარღვევა, კერძოდ ველობილიკზე სხვა სატრანსპორტო საშუალების დგომა/გაჩერება, და ეგრედ წოდებულ "BUS LANE"-ებში სატრანსპორტო საშუალების დგომა/გაჩერება. ამ უკანასკნელის საფუძველზე, 2021 წელს დაფიქსირდა 61,540 ჯარიმა.

რაც შეეხება ჯარიმების შედეგად დაკისრებული სახდელის ჯამურ მოცულობას, ყველაზე დიდი გავლენა შესაძლოა მოეხდინა 2018 წელს ტექინსპექტირების დადგენილი წესების დარღვევისთვის გაზრდილ სახდელს (10 ლარიდან 50 ლარამდე ფიზიკური პირებისთვის), თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, ამავე წელს აღნიშნული მიმართულებით ასევე გამკაცრდა კონტროლი და მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯარიმების რაოდენობაც.

მუხლი 116 - სატრანსპორტო საშუალების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი აერთიანებს სამართალდარღვევებს, რომელიც უკავშირდება სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის.

2014 წლიდან ამ მუხლში გაერთიანებულ მთელ რიგ დანაშაულებზე სასჯელი მნიშვნელოვნად გამკაცრდა. მაგალითად, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის გათვალისწინებული 200 ლარიანი ჯარიმა 2014 წლიდან შეიცვალა მართვის უფლების 6 თვით შეჩერებით, სატრანსპორტო საშუალების წინასწარ შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის გადაცემისთვის გათვალისწინებული 250 ლარიანი ჯარიმა გაიზარდა 1000 ლარამდე.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სანქციების გამკაცრებასთან ერთად, 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, **საპატრულო პოლიციის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დაჯარიმებულთა საერთო რაოდენობის ტენდენცია სტაბილურია** და მერყეობს დაახლოებით 25-30 ათასის ფარგლებში. კერძოდ, 2017 წელს, საქართველოში ამ მუხლით სულ გამოიწერა 24,702 ჯარიმა. ეს რიცხვი 2018 წელს გაიზარდა 618-ით და შეადგინა 25,320 ჯარიმა. უფრო დიდი ზრდა დაფიქსირდა 2019 წელს და საერთო ჯარიმების რიცხვმა შეადგინა 30,761, თუმცა 2020 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და 22,518-ს გაუტოლდა, ხოლო 2021 წელს 26,388-ს. რაც გარკვეულწილად შეიძლება გამოწვეული იყოს პანდემიითა და ქვეყანაში არსებული შეზღუდვებით.



მუხლი 118 - ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია ტექინსპექტირება

118-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, იწვევს მძღოლის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. მუხლის მეორე ნაწილი ეხება ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისათვის სამართავად გადაცემას და აღნიშნული ქმედება ასევე იწვევს ფიზიკური პირის 50 ლარის ოდენობით დაჯარიმებას, ხოლო იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. 2018 წლამდე, 118 მუხლი ითვალისწინებდა 10 ლარიან ჯარიმას, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 100 ლარიან ჯარიმას. 2018 წელს, ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები და ამავე წელს დაინერგა ტექინსპექტირების ახალი სისტემა.



118 მუხლის საფუძველზე გამოწერილი ჯარიმების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა 2019 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამ სამართალდარღვევის მონიტორინგი დაიწყო ვიდეოკამერების საშუალებით. 2021 წელს დაფიქსირდა 524,524 ჯარიმა, სამჯერ მეტი ვიდრე 2020 წელს (149,291 ჯარიმა), აღნიშნული სხვაობა შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც პანდემიით, ასევე დაკავშირებული იყოს საარჩევნო პროცესებთან. საყურადღებოა შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებაც ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც 2019 და 2020 წლებში ჯარიმების ნაკლებ რაოდენობას ხსნის იმ ფაქტით, რომ ვიდეოკამერები ტექნიკური ხარვეზის შედეგად ხშირად ითიშებოდა.[6] შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ **118-ე მუხლის კონტროლი 2020 წელს გარკვეული დროით შეჩერებული იყო.**

მუხლი 125 ნაწილი 8 -„დგომა-გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებს შორის ყველაზე დაბალი ჯარიმა (10 ლარი) გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, რაც გულისხმობს ამკრძალავი ნიშნის „დგომა-გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის

[6] https://bm.ge/ka/article/-sheferxebis-gamo-ertxel-kamerebi-tvenaxevari-gagvetisha-da-adamianebi-ver-davajarimetquot--shss-ministri-/104975

დაუცველობას. ამ სამართალდარღვევის სპეციფიკიდან და ჯარიმის ოდენობიდან გამომდინარე, მძღოლთა დაჯარიმების ყველაზე დიდი მაჩვენებლები სწორედ ამ დარღვევაზე ფიქსირდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, „დგომა-გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობისთვის დაჯარიმებულთა რაოდენობა ჯამში - 2,832,602-ია.



განსაკუთრებით აღსანიშნავია 2019 წლის სტატისტიკა, რადგან საკვლევი პერიოდისთვის ყველაზე მეტი ჯარიმა წინა წლებთან შედარებით, სწორედ ამ პერიოდში ფიქსირდება. კერძოდ, 2019 წელს 125 მუხლის მე-8 ნაწილის დარღვევისთვის გამოიწერა ჯამში 904,051 ჯარიმა, 2020 წელს ეს მაჩვენებელი განახევრდა და გახდა 453,484, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო პანდემიით ან ქვეყანაში მიმდინარე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებით. ეს მაჩვენებელი 2021 წელს მცირედით გაიზარდა და დაფიქსირდა 552,991 ჯარიმა. 2018 წელს დგომა-გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობისთვის ჯარიმების რაოდენობამ შეადგინა 539,568, რაც 157,060-ით აღემატება 2017 წელს გამოწერილ 382,508 ჯარიმას.



2020 წელს ამკრძალავი ნიშნის „დგომა-გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობისთვის დაჯარიმებულთა რაოდენობის კლების ფონზე, განსაკუთრებით საყურადღებო შედეგებს იძლევა 125 მუხლის მე-9 პუნქტით დაჯარიმებულთა სტატისტიკური მონაცემები. ეს პუნქტი ითვალისწინებს საგზაო მოძრაობის სხვადასხვა წესების, მათ შორის დგომა-გაჩერების წესების დარღვევის გამო საავარიო ვითარების ან საცობის შექმნას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 200 ლარის ოდენობის ჯარიმა.

2017 წელს ამ სამართალდარღვევისთვის დაჯარიმდა 12,984 პირი, რაც **2020 წლის მაჩვენებელს დაახლოებით 16-ჯერ, ხოლო 2019 და 2018 წლის მაჩვენებელს დაახლოებით 9-ჯერ აღემატება.** 2017 წლის შემდეგ არ ფიქსირდება რაიმე განსაკუთრებული გარემოებები, რაც ხელს შეუწყობდა მძღოლების მიერ ამ სამართალდარღვევის ჩადენის გაიშვიათებას. შესაბამისად, 2017 წლიდან სახეზე გვაქვს საპატრულო პოლიციის მიერ **მსგავსი სამართალდარღვევის კონტროლის შემსუბუქება.**

მუხლი 118[1] - უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა

2010 წლიდან საქართველოში მძღოლის და მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოყენება სავალდებულოა, რომლის არ შესრულებაც ჯარიმდება 40 ლარით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017 წლის შემდეგ ამ სამართალდარღვევისთვის დაჯარიმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს.

კერძოდ, 2017 წელს დაჯარიმდა 61,594 პირი, 2018 წელს - 103,425 პირი, 2019 წელს - 150,100 პირი, 2020 წელს - მხოლოდ 78,553 პირი, ხოლო 2021 წელს - 90,459 პირი. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის შემდეგ, ამ სამართალდარღვევისთვის დაჯარიმებულთა რაოდენობის ყოველწლიური მატება შესაძლებელია განპირობებულია საპატრულო პოლიციის კონტროლის გამკაცრებით, მიუხედავად 2020 და 2021 წლებში საგრძნობლად შემცირებული სტატისტიკისა.



მუხლი 118² - სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მობილურით სარგებლობა

სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა, საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით, მნიშნელოვანი გამოწვევაა.

ამ დარღვევისთვის გათვალისწინებული მცირე ჯარიმიდან (10 ლარი) გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საპატრულო პოლიციის მიერ ეფექტური კონტროლის განხორციელებას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017-2021 წლებში საპატრულო პოლიციამ ავტომობილის მართვისას მობილურით სარგებლობისთვის ჯამში 516,309 საჯარიმო

ქვითარი გამოწერა. აქედან 2017 წელს 107,760 პირი დაჯარიმდა. 2018 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა დაახლოებით 20 ათასით და შეადგინა 82,601 ჯარიმა. ყველაზე მკაცრი კონტროლი ხორციელდებოდა 2019 წელს, როდესაც საჯარიმო ქვითარი გამოეწერა 154,286 პირს. 2020 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 62 ათასი შემთხვევით შემცირდა და შეადგინა 91,704 ჯარიმა, ხოლო 2021 წელს - 97,663.



მუხლი 125 პირველი ნაწილი - სიჩქარის გადაჭარბება

საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მძღოლების მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის ნორმების დაცვის კონტროლს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი სიჩქარის გადაჭარბებისთვის ჯარიმდება, თუ დადგენილ ნორმას გადააჭარბებს 15კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით.

წინა თავებში განხილული მუხლებისგან განსხვავებით, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017-2021 წლებში, ერთეული შემთხვევების გარდა, საპატრულო პოლიცია მძღოლების მიერ სიჩქარის გადაჭარბების გამოვლენას ახორციელებს გარე სამეთვალყურეო ვიდეო კამერების საშუალებით.

2017 წლიდან ყოველწლიურად იმატებს 125 მუხლის პირველი ნაწილის სამართალდარღვევისთვის დაჯარიმებულთა რაოდენობა. კერძოდ, 2017 წელს სიჩქარის

გადაჭარბებისთვის ჯამში გამოიწერა 80,303 ჯარიმა, 2018 წელს - 448,857, 2019 წელს - 578,073, 2020 წელს - 863,861 ჯარიმა, ხოლო 2021 წელს - 888,004 ჯარიმა.



რაც შეეხება უშუალოდ დედაქალაქს, 2017 წელს ქალაქ თბილისში სიჩქარის გადაჭარბებისთვის ჯამში გამოიწერა 46,205 ჯარიმა, 2018 წელს - 180,460 ჯარიმა, 2019 წელს - 217,696, 2020 წელს - 304,525 ჯარიმა, ხოლო 2021 წელს - 307,771. საინტერესო ტენდენციას წარმოადგენს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოწერილი საჯარიმო ქვითრების რაოდენობის სწრაფი ზრდა, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ვიდეოკამერების ქსელის გაფართოვებით.

125 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოწერილი ჯარიმების რაოდენობა არ არის თანხვედრაში საერთო ტენდენციასთან, კერძოდ არ ფიქსირდება ჯარიმების რაოდენობის შემცირება პანდემიის პერიოდში, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს საჯარიმო პოლიტიკის სელექციურ შემსუბუქებაზე, ცალკეული ტიპის დარღვევების მიხედვით.

დასკვნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკაზე დაკვირვების შედეგად თვალსაჩინო ხდება რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია.

2020-2021 წლებში ფიქსირდება გამოწერილი **საჯარიმო ქვითრების საერთო რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება,** რაც ნაწილობრივ შესაძლოა უკავშირდებოდეს პანდემიის და დაწესებული შეზღუდვების შედეგად ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ზოგად შემცირებას. თუმცა არსებულ მონაცემების თანახმად, აღნიშნული ტენდენცია არ ვრცელდება 125 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოწერილ ჯარიმებზე (დაშვებული სიჩქარის ლიმიტის გადაჭარბება), რომელთა რაოდენობა არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა 2020-2021 წლებში. სიჩქარის გადაჭარბების გამოვლენა ძირითადად ხორციელდება გარე სამეთვალყურეო ვიდეო კამერების საშუალებით, შესაბამისად უფრო მცირეა მიკერძოების ალბათობა. აღნიშნული გარემოება აჩენს ეჭვებს, რომ 2020-2021 წლების პერიოდში ჯარიმების საერთო რაოდენობა შემცირდა საპატრულო კონტროლის სელექციური შემსუბუქების საფუძველზე, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს საპარლამენტო, შემდგომ კი ადგილობრივი არჩევნებს.